

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " შპს თრეიდ იმპერიალი "

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „თრეიდ იმპერიალი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის



ი. სვანიძე

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ბუღალტერი

2024 წლის -----
თბილისი, საქართველო

7-15 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "შპს თრეიდ იმპერიალი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ქალაქი თბილისი

2024



ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

2024 წლის ---
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

7-15 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " შპს ტრეიდ იმპერიალი "

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საქმიანობის შედეგები	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6-11
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	6
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
შენიშვნა 4. სავაჭრო მოთხოვნები	7
შენიშვნა 5. სასესხო ვალდებულებები	7
შენიშვნა 6. სავაჭრო ვალდებულებები	7
შენიშვნა 7. ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება	7
შენიშვნა 8. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები	8
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	8
შენიშვნა 10. მარაგი	8
შენიშვნა 11. იჯარა	9
შენიშვნა 12. აქტივების გაუფასურება	9
შენიშვნა 13. დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი ვალდებულებები	9
შენიშვნა 14. მოგების გადასახადი	9
შენიშვნა 15. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები. 10	10
შენიშვნა 16. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები	12
შენიშვნა 17. მსს ფასს-ზე გადასვლა	11
შენიშვნა 18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	11



ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

2024 წლის ---
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	2024	2023
მოკლევადიანი აქტივები :	3873656.74	3,484,056.74
ფულადი სახსრები სალაროში	8274.82	5,149.73
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	185796.69	95,995.49
მოკლევადიანი დებიტორული მოთხოვნები	1789859.46	1,586,589.42
გასაყიდად განკუთვნილი მზა პროდუქცია	1835516.64	1,674,087.06
საწვავის ნაშთი	2304.73	1,198.80
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		21,620.23
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	14466.46	2,400.00
ზედმეტობა საბიუჯეტო გადასახადებში	37392.11	96,983.16
ზედმეტობა საპენსიო შენატანში	45.83	32.85
გრძელვადიანი აქტივები :	2195695.42	2,247,245.64
ძირითადი საშუალებები	1166746.09	1,128,895.84
ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	(126,398.67)	(91,518.20)
გრძელვადიანი ინვესტიციები	1155148	1,209,668.00
არამატერიალური აქტივები	200	200.00
სულ აქტივები :	6069352.16	5,731,302.38
მოკლევადიანი ვალდებულებები:	1019723.48	913,770.64
ვალდებულება მომწოდებლების მიმართ	1019723.48	913,770.64
საიჯარო ვალდებულებები		-
გრძელვადიანი ვალდებულებები:	2078790.36	1,957,441.54
ბანკის სესხი	2078790.36	1,957,441.54
საკუთარი კაპიტალი:	2970838.32	2,860,090.20
საწესდებო კაპიტალი		-
დაგროვილი მოგება/ზარალი	2970838.32	2,860,090.20
სულ კაპიტალი და ვალდებულება :	6069352.16	5,731,302.38



Handwritten signature in blue ink.

(ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგები	2024	2023
შემოსავალი		
შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან	9386624.03	10,951,459.87
შემოსავალი მომსახურების გაწვიდან	14543.39	49,661.05
ქეშბექი გაყიდვებიდან	(445,837.08)	(339,130.92)
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(6,868,133.73)	(8,047,992.69)
საერთო მოგება	2,087,196.61	2,613,997.31
ადმინისტრაციული ხარჯები :	1,674,827.10	1,569,942.59
მიწოდების ლოგისტიკური ხარჯები	22894.82	22,140.76
შრომითი დანახარჯები	1,100,587.57	1,120,547.40
საწვავის ხარჯი	76,437.76	74,476.29
საიჯარო ხარჯი	147,760.11	120,204.55
ავტორემონტის ხარჯი	45,442.26	34,998.56
მარკეტინგული ხარჯები	74,857.41	3,520.91
დაზღვევის ხარჯი	16,137.93	14,439.48
ცვეთის დანახარჯი	45,169.67	39,633.00
საბანკო მომსახურების ხარჯები	33,181.69	34,555.13
სატრანსპორტო ხარჯები	3,813.60	4,067.84
მივლინების ხარჯები	15,555.91	6,767.60
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,548.00	629.75
სხვა ხარჯები	91,440.37	93,961.32
საოპერაციო მოგება	412,369.51	1,044,054.72
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12,294.49	5,695.60
ბანკის საპროცენტო ხარჯი	(199,829.38)	(140,331.98)
საკურსო სხვაობა	(114,086.50)	
დასაბეგრი მოგება:	110 748.12	909,418.34



ი. ხვედელი

(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თრეიდ იმპერილია“ რეგისტრირებულია 2018 წლის 30 აგვისტოს , ს/კ 405287764 ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა, მიონის წინ მიმდებარე ტერიტორია. საწარმოს დამფუძნებლები არიან : არჩილ ციციშვილი - 25% , ივანე ხვედელიძე 50% , მიხეილ ხუციშვილი 25%.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა - საბითუმო ვაჭრობა სხვა საყოფაცხოვრებო საქონლით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი . კომპანია ახორციელებს პროდუქციის იმპორტს (ბავშვის მოვლის და საყოფაცხოვრებო საქონლის) თურქეთიდან, ინდონეზიიდან და შემდგომ მის რელიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიებსა და მარკეტებში.

კომპანიას აქვს ორი ფილიალი შემდეგ ქალაქებში - თბილისი და ქუთაისი

2023 წელს შპს თრეიდ იმპერიალმა განახორციელა ინვესტიცია შპს ბელიმომ გრუპი 2023 -ში , სადაც არის 50% წილის მფლობელი, თუმცა კონტროლი კომპანიაზე არ გააჩნია , შესაბამისად კომპანიების ფინანსური შედეგების კონსოლიდაცია არ მომხდარა , რადგან არ წარმოადგენს შვილობილ კომპანიას . ამასთან მნიშვნელოვანია რომ ბელიმომ გრუპი 2023 წლის ფინანსური შედეგები არარსებითია.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით.

შენიშვნა 3. საადრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში



ი. ხვედელიძე

(ქართულ ლარში)

მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიუწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

შემოსავლების მონაცემები წლების მიხედვით გვაქვს შემდეგნაირად.

	2024	2023	2022
შემოსავალი	8,955,330.34	10,661,990.00	8,956,221.34

ფინანსურ შედეგებში ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი ქეშბექის მონაცემები რომელიც ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის დაკლებულია გაყიდვების მონაცემებზე. ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულია დღგ გადასახადის ჩათვლების ნაწილში.

შენიშვნა 4: სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ვინაიდან კომპანიის საქმიანობა არის დისტრიბუცია დიდია თანხების გადახდა ნაღდი ანგარიშსწორებით, ფულადი ნაკადების შემოღინება კლიენტებისგან 2023 წელს 2 465 712.14 ლარი იყო თბილისის გაყიდვებიდან ხოლო ქუთაისის გაყიდვებიდან 1 094 406.22 ლარი, ჯამში კომპანიაში ნაღდი თანხის შემოღინებამ შეადგინა 3 560 118.36 ლარი. ხოლო 2024 წელს ჯამურმა ფულადი ნაკადების შემოღინებამ სალაროში შეადგინა 2 859 932.52 ლარი. სალაროს ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 5150 ლარს ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 8275 ლარს. კომპანიას წლის განმავლობაში არ უფიქსირდება სალაროში დიდი ნაშთი, რადგან ხდება ნავაჭრის ყოველდღიური ინკასაცია ბანკში.

შენიშვნა 5: სასესხო ვალდებულებები



Handwritten signature in blue ink.

(ქართულ ლარში)

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

კომპანიას აქვს ბანკის გრძელვადიანი რამდენიმე სესხი. თანხა დაბანდებული აქვს უძრავ და მოძრავ ქონებაში. კომპანიას გასაყიდად აქვს გამოტანილი უძრავი ქონება რითიც გეგმავს სასესხო ვალდებულებების დაფარვას. ბანკის სესხის პროცენტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარჯის მუხლია მოგება-ზარალში ამიტომ კომპანიის ინტერესშია მალე მოხდეს ბანკის სესხის დაფარვა.

შენიშვნა 6: სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შენიშვნა 7: ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

შენიშვნა 8: ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული. 2023 წლის ბანკის პროცენტის ხარჯმა შეადგინა 140 332 ლარი. ხოლო 2024 წელს 199 829 ლარი.

შენიშვნა 9: ძირითადი საშუალებები



Handwritten signature in blue ink.

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	12%-15%
ოფისის აღჭურვილობა	12%-15%
სატრანსპორტო საშუალებები	12.5%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

შენიშვნა 10: მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

კომპანიის მარაგების ნაშთები შედგება როგორც დღგ გადასახადით დასაბეგრი (შამპუნები, საპნები და სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქცია) ასევე დღგ გადასახადისგან გათავისუფლებული პროდუქციისგან (საბავშვო პამპერსები, საბავშვო სველი საღებავები და სხვა) . მარაგების ნაშთის მონაცემებია



2024

2023

(ქართულ ლარში)

გასაყიდად განკუთვნილი მზა პროდუქცია	1835516.64	1,674,087.06
-------------------------------------	------------	--------------

შენიშვნა 11: იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

კომპანიას გააჩნია ორი საიჯარო ხელშეკრულება თბილისსა და ქუთაისში, ორივე აღიარებულია საოპერაციო ხარჯებში.

შენიშვნა 12: აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ხელმძღვანელობამ გადახედა წლის ბოლოს აქტივების ღირებულებას და გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 13: დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული



Handwritten signature in blue ink.

(ქართულ ლარში)

სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

კომპანიის 2024 წლის სახელფასო დანახარჯებში არსებით ცვლილებას აღვილი არ ჰქონია , ხარჯების მონაცემები შეადგენს შემდეგს

	2024	2023
შრომითი დანახარჯები	1,100,587.57	1,120,547.40

შენიშვნა 14: მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

2024 წლის საანგარიშო პერიოდზე დივიდენდის განაწილებას აღვილი არ ჰქონია.

შენიშვნა 15. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლილება, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები,



(ქართულ ლარში)

რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც საადრიცხვო შეფასების ცვლილებას.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და საშუაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, კომპანიამ გაყიდა უძრავი ქონება 2025 წლის ივლისის თვეში და დაფარა ბანკის სესხის ძირითადი ნაწილი. გაყიდვა მოხდა უნაღდო ანგარიშსწორებით, შემოსავალმა შეადგინა 1 681 006 ლარი. რადგან 2024 წლის ფინანსური შედეგი გაუარესებულია წინა წლებთან შედარებით კომპანიისთვის ეს ოპერაცია მნიშვნელოვანია და მისი გავლენა ფინანსურ შედეგზე ნაჩვენები იქნება 2025 წლის ფინანსურ ანგარიშში.

შენიშვნა 17. მსს ფასს-ზე გადასვლა

საადრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან.



Handwritten signature in blue ink.